2893 2893

# დასკვნა

45210000

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის წესით, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2015 წლის 30 ივლისის №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და ანაზღაურებასთან დაკავშირებით

ქ. წყალტუბო 25.09.2015

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, მარიამ ბალანჩივაძემ, განვიხილე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის კონსტანტინე მამისეიშვილისადმი, ამავე მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მამუკა მატარაძის 2015 წლის 24 სექტემბრის №3638/31 წერილი, რომელიც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის წესით 2015 წლის 30 ივლისს გაფორმებული №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების მიღება-ჩაბარებასა და შესაბამისი ანაზღაურების მოთხოვნას.

ზემოთ აღნიშნული წერილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში არსებული დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, გაირკვა შემდეგი:

2015 წლის 30 ივლისს, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 თებერვლის №67 დადგენილების შესაბამისად, სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის წესით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელს კონსტანტინე მამისეიშვილსა და შპს «თაგი»-ს შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №185 ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირსა და სოფელ ხომულში საბავშვო ბაღის მშენებლობის მომსახურების შესყიდვას. ხელშეკრულების შესაბამისად, შესასრულებელი სამუშაოების ჯამური ღირებულება შეადგენს 78512 (სამოცდათვრამეტი ათას ხუთას თორმეტი) ლარს.

ხელშეკრულების საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან - 2015 წლის 11 სექტემბრის ჩათვლით არსებული პერიოდი.

2015 წლის 09 სექტემბერს შპს «თაგი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №185-ის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირსა და სოფელ ხომულში საბავშვო ბაღების მშენებლობის სამუშაოების დასრულების შესახებ №7127 წერილი.

2015 წლის 10 სექტემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომლებმა კახაბერ ფანცხავამ, მერაბ კუხალაშვილმა და კობა გოგიძემ შეადგინეს ინსპექტირების აქტი, რომლის მიხედვითაც ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება შპს „თაგი"-ის მიერ №185 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

2015 წლის 14 სექტემბერს შპს «თაგი»-ის მიერ წარმოდგენილ იქნა ხელშეკრულება №185-ის შესაბამისად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირსა და სოფელ ხომულში შესრულებული სამუშაოების (საბავშვო ბაღების მშენებლობა) ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის შესახებ №7245 წერილი, რომელსაც თან ახლავს შესრულებული სამუშაოების ფორმა №2, ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, შპს „სანდო"-ის მიერ 2015 წლის 14 სექტემბერს შედგენილი საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა №35, შესყიდვის ობიექტის ადგილზე მიწოდების დამადასტურებელი ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლებისა და შესაბამისი სოფლის რწმუნებულების ხელმოწერები, აგრეთვე ფაქტობრივი მიწოდების დამადასტურებელი ფოტო მასალები, ფარული სამუშაოების აქტები.

აღნიშნული მომსახურების შესრულებასთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31 755 ბრძანებით შექმნილი კომისიის №49 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს «თაგი»-სა და აღნიშნულ კომისიას შორის 2015 წლის 23 სექტემბერს გაფორმებულ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი, საერთო თანხით **75921 (სამოცდათხუთმეტი ათას ცხრაას ოცდაერთი) ლარი.**

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელ ქვიტირში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა №2) 627 მეტრი არმატურა დ-14 მმ ა-III -ის ერთი ერთეულის ფასად დღგ-ს გარეშე აღებულია 1.6 ლარი, ხოლო წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების მიხედვით ამ უკანასკნელის ერთი ერთეულის ფასად აღებული უნდა იყოს 1.54 ლარი, შესაბამისად, წარმოდგენილი ფაქტობრივი დანახარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით სოფელ ქვიტირში საბავშვო ბაღის მშენებლობისთვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება შეადგენს **43548 (ორმოცდასამი ათას ხუთას ორმოცდარვა)** ლარს.

გამგეობის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დებულების მე-2 მუხლის „ზ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შემოწმებული მასალა საშუალებას იძლევა მომზადდეს შემდეგი სახის დასკვნა:

2015 წლის 23 სექტემბერს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის წესით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებისა და შესყიდვის ობიექტის მიღების მიზნით შექმნილი კომისიის №49 სხდომის ოქმის საფუძველზე, შპს «თაგი»-სა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 17 ივნისის №31 755 ბრძანებით შექმნილ კომისიას შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ნაწილობრივადაა შესაბამისობაში 2015 წლის 30 ივლისის №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და №185 ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ჯამური ღირებულება წარმოდგენილი ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიხედვით შეადგენს **75869 (სამოცდათხუთმეტი ათას რვაას სამოცდაცხრა)** ლარს.

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის

მთავარი სპეციალისტი: მარიამ ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების პირობების შესრულებაზე კონტროლისა და შესყიდვის ობიექტი (სამუშაოები, მომსახურების საქონელის) მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი კომისიის

სხდომის ოქმი №49

ქ. წყალტუბო 23.09. 2015 წელი

**სხდომას ესწრებოდა -**

| | |
|---|---|
| მამუკა მატარაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარე |
| ლევან ჩაკვეტაძე | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის არქიტექტურისა დაზედამხედველობის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი |
| კახა ფანცხავა | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი კომისიის წევრი |
| გიორგი კრავეიშვილი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტრული აღრიცხვა-დაგეგმარების განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის წევრი |
| ზურაბ მ ურვანიძე | ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარემთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი |

| | |
|---|---|
| იონა ჯოჯუა | ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი |
| მერაბი კუხალაშვილი | ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის წევრი |
| კობა გოგიძე | ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, კომისიის მდივანი |

დღის წესრიგი -

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,თაგი"-ს შორის 2015 30 ივლისის №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.**

**მოისმინეს**

ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების მთავარი სპეციალისტის კობა გოგიძეს მოხსენება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,თაგი"-ს შორის 2015 წლის 30 ივლისის №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარების შესახებ.

კერძოდ აღნიშნავს 2015 წლის 9 სექტემბრის №7127 წერილით მოგვმართა მიმწოდებელმა და ითხოვს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და სოფელ ხომულში საბავშვო ბაღის მშენებლობის სამუშაოების მიღება- ჩაბარებას. წარმოდგენილია მიღება-ჩაბარებისათვის საჭირო საბუთები, შესრულებული სამუშაოს აქტები, ხელშეკრულებები, სასაქონლო ზედნადებები, მიზანშეწონილად მიმაჩნია მოხდეს სამუშაოების მიღება- ჩაბარება.

**აზრი გამოთქვა:** კომისის თავმჯდომარემ მამუკა მატარაძემ და წევრმა კახაბერ ფანცხავამ აღნიშნეს, რომ სამუშაოები შესრულებულია ხელშეკრულების პირობების თანახმად, დადგენილ ვადაში და მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს მიღება- ჩაბარება.

**ჯგუფმა ყველა წევრის მხარდაჭერით მიიღო გადაწყვეტილება და დაადგინეს**

**1 მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოხდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობას და შპს ,,თაგი"-ს შორის 2015 წლის 30 ივლისის №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღება - ჩაბარება და შედგეს მიღება - ჩაბარების აქტი**

კომისიის თავმჯდომარე: მამუკა მატარაძე

კომისიის წევრები: ლევან ჩაკვეტაძე შეუფერებლობა

კახაბერ ფანცხავა

გიორგი კრავეიშვილი

ზურაბ მურვანიძე

მერაბი კუხალაშვილი

იონა ჯოჯუა შეუფერებლობა

სხდომის მდივანი: კობა გოგიძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და და სოფელ
ხომულში საბავშვო ბაღის მშნებლობის
მიღება-ჩაბარების
აქტი

23 09 2015 წელი

ქ. წყალტუბო

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერებმა ერთის მხრივ შ პ ს „თაგი" -ს დირექტორის ვახტანგ ნატრიაშვილის და მეორეს მხრივ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეგლის 2015 წლის 17 ივნისის №31 755 ბრძანებით, შექმნილმა კომისიამ, შემადგენლობით: მამუკა მატარაძემ, კახაბერ ფანცხავამ, გიორგი კრავეიშვილმა, ზურაბ მურვანიძემ, მერაბი კუხალაშვილმა,იზაბელა დოლაბერიძემ და კობა გოგიძემ, შ პ ს „სანდო"-ს მიერ მომზადებული №35 (14. 09. 2015) საიჟინრო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე მოვახდინეთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგეობასა და შ პ ს „თაგი"- ს შორის, 2015 წლის 30 ივლისის №185 ხელშეკრულებით გათვალისწინებული წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში და სოფელ ხომულში საბავშვო ბაღის მშნებლობის მიღება -ჩაბარება, ღირებულებით 75921 (სამოცდათხუთმეტიათას ცხრაას ოცდაერთი) ლარს

მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილია თანაბარი ძალის ორ ეგზემპლიარად, ერთი გადაეცემა შ პ ს „თაგი" - ს ხოლო მეორე რჩება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში.

შ პ ს „თაგი" - ს მიერ მომზადებული ტექნიკური დოკუმენტაცია და შ პ ს „სანდო" -ს მიერ მომზადებული №35 (14 . 09. 2015) დასკვნა შესაბამისობაშია.

ჩააბარა:

შ პ ს „თაგი" -ს

დირექტორი ვ.ნატრიაშვილი

ჩაიბარა:

კომისია

შემადგენლობით

მ.მატარაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კ.ფანცხავა

გ.კრავეიშვილი

ზ.მურვანიძე

მ.კუხალაშვილი

ი.დოლაბერიძე

კ.გოგიძე (მდივანი)